ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2661244

ნომერი: AR1409881

თარიღი : 01.06.2016

გაცემის თარიღი : 27.06.2016

გაცნობის თარიღი : 27.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარი , N 33 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარი , N33-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- ქ. თბილისი, მაზნიაშვილის ქ.

ორგანიზაცია:
- შპს ეპიკ სანზონა კოდი: 402010701

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.05.2016 წ. №2623926 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 01/06/2016 წ. N AR1409881 განაცხადით მომართა ვასილი ჯალაღონიამ და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 30.05.2016 წ. №2623926 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 30.05.2016 წ. №2623926 ბრძანებით, ქ. თბილისში, ქუჩა ხევძმარი , N 33 / ქალაქი თბილისი, ქუჩა ხევძმარი , N33-ის მიმდებარედ, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.11.17.001.195), შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა (სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი) არქიტექტურული პროექტი. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 30.05.2016 წლიდან 30.11.2017 წლის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, 30.05.2016 წ. №2623926 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ: გეგმებში ბინების საზაფხულო ფართობის მაჩვენებლებში შეცდომით ჩაიწერა ბინების საერთო ფართობის მაჩვენებელი.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია, რის შედეგადაც მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომები მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.05.2016 წ. №2623926 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო გეგმები ჩანაცვლდეს 01/06/2016 წ. N AR1409881 განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.05.2016 წ. №2623926 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.